# კონსტრუქციული დასკვნა წყალსადენის ქ. №13-ში მდებარე ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობისა და ჩასატარებელი სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესახებ

შესწავლილ იქნა ქ. თბილისში, გლდანის რ-ნის წყალსადენის ქ. №13-ში მდებარე ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობა.

ობიექტი პირვანდელი დანიშნულებით წარმოადგენს დახურული ტიპის წყალშემკრებ აუზს. გეგმაში სწორკუთხა ფორმისაა – ზომებით 24.0x30.0 მ. კედლები ნაწილობრივ მოქცეულია გრუნტში, აქვს ბრტყელი გადახურვა, რომელიც ასევე დაფარულია მიწის ფენით.

კონსტრუქციული გადაწყვეტით აუზის ფსკერი და მზიდი კედლები შესრულებულია მონილითური რკინაბეტონით, ხოლო გადახურვაში გამოყენებულია ანაკრები რკინაბეტონის ელემენტები – სვეტები, კოჭები და გადახურვის წინასწარ დაძაბული რკინაბეტონის პანელები.

ჩატარებული ვიზიუალური შემოწმებით დადგინდა, რომ ძირითადად აუზის მზიდი კონსტრუქციები დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია და არ გააჩნია რაიმე სახის სერიოზული ნაკლოვანება. დაზიანებულია აუზის სახურავის ჰიდროიზოლაცია, რის გამოც გადახურვის წინასწარ დაძაბული რკინაბეტონის პანელები განიცდიან ატმოსფერული ნალექების მავნე გავლენას – ზოგიერთ ადგილას შეინიშნება არმატურისა და ბეტონის კოროზია.

აქედან გამომდინარე, რეკომენდირებულია სახურავიდან მოიხსნას მიწის ფენა და მოწყოს ახალი ქანობიანი გადახურვა ხის მზიდი კონსტრუქციებით, რითაც შემსუბუქდება კონსტრუქცია და მოხდება წყლის ორგანიზებული გადაყვანა ნაგებობიდან.

საპროექტო დავალების მიხედვით აუზს გვერდებიდან უკეთდება ერთსართულიანი მიშენებები, რომლებიც შესრულდება მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციებით და ხისტად დაუკავშირდება არსებულ კონსტრუქციებს.

შენობის სიმტკიცის, სიხისტის და მდგრადობის პირობიდან გამომდინარე, აგრეთვე ზოგადად სეისმური უსაფრთხოების თვალსაზრისით აღნიშნული სამუშაოების ჩატარება უარყოფითად არ აისახება როგორც ნაგებობის მზიდი კონსტრუქციების, ასევე მისი ცალკეული ელემენტების მუშაობაზე ხანგრძლივი ექსპლუატაციის პერიოდში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დასაშვებია აუზის რეკონსტრუქცია სათანადოდ დამუშავებული პროექტის მიხედვით, სადაც გათვალისწინებული იქნება მოცემული რეკომენდაციები და მშენებლობის პერიოდში დაცული იქნება მისი ყველა პირობა.

კონსტრუქტორი დ. ფირყულაშვილი